ოქმი:ო37. 37240872
თარიღი:27/03/2024

ოქმი N 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2024 წელი 25 მარტი

ქ. ოზურგეთი

16.00-16.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა-საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: დ. ჭაკნელიძე,

გ. ჩავლეშვილი, ნ. ჭანიშვილი, პ. კიღურაძე, ბ. თოიძე, ალ. ბურჭულაძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 7 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხადაჭერის

პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის მოსმენის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობის სახით მისაღებად, წარმოდგენილი ანგარიშის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

5. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დაეწეროთ საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებს, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და

ინფრასტრუქტურის კომისიას განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად (ბ. თოიძე), სხვა მუდმივმოქმედ კომისიებს გაცნობის მიზნით.

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 15 მარტის N 5 საოქმო გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N 1,2,3,4,5,7 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

2. შეტანილ იქნას ცვლილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 15 მარტის N 5 საოქმო გადაწყვეტილებაში, კერძოდ ამოღებულ იქნას N 4 საკითხი-„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ“.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი